საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ს. კ., /სიითი №/

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: გ. ლ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.04.2018

საჩივრის რეგისტრაციის № 033/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ს.-ს მიმართ, /სიითი №/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ს.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 03 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ს. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ს.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 08 მაისს საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. 2018 წლის 13 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ს. კ.-მ და მისმა წარმომადგენელმა გ. ლ.-მ - წარმოადგინეს ზეპირი ახსნა-განმარტებები.

1.2 ადვოკატი მ. ს. წარმოადგენდა მისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატს სამოქალაქო საქმეზე, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან როგორც მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა, სასამართლოში წარადგინა შესაგებელი და არგუმენტირებულად უარყო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები. ადვოკატ ს. კ.-ს, შესაგებლის წარდგენიდან რამდენიმე დღეში ჩაბარდა მისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატის - მ. ს.-ს მიერ შედგენილი დოკუმენტი, სახელწოდებით - „მოსარჩელის მოსაზრებები მოპასუხის შესაგებელზე“. მოცემული დოკუმენტი, ასევე გაეგზავნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს და უშუალოდ მოპასუხე მხარეს - საჩივრის ავტორის კლიენტს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ მ. ს.-ს მიერ შედგენილი ზემოაღნიშნული დოკუმენტი, შესაგებელში წარმოდგენილი გარემოებების არგუმენტირებულად უარყოფის ნაცვლად, აგებულია მხოლოდ საჩივრის ავტორის პირად შეურაცხყოფაზე.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მ. ს. თავის წერილობით მიმართვაში უწოდებს „ცრუპენტელას“, „სულელს“, „არაპროფესიონალს“ და მოსაზრებას ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „ვერ ვხვდები და სულ მაინტერესებდა რატომ დაწერა ეს შესაგებელი იურისტმა-ადვოკატმა და გაუგზავნა მეორე კვალიფიციურ იურისტს-მოსამართლეს? მაგრამ გამახსენდა ფრანგი ფილოსოფოსის მარკიზ დე ვოვენარგის სიტყვები: „სულელი ყოველთვის დარწმუნებულია, რომ მასზე უკეთესად ვერავინ გააცურებს ჭკვიან ადამიანს“.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის კლიენტთან შეთანხმებით არჩევს გარკვეულ სტრატეგიას, როგორ უნდა შეადგინოს შესაგებელი და მასში მიუთითოს ის ფაქტები, რაც მის სტრატეგიას წარმოადგენს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ მ. ს.-ს მიერ წერილობით გამოთქმული მოსაზრებები, რომელიც საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილია ეთიკის კომისიაში, შეიცავს პირადად მის შეურაცხმყოფელ ფრაზებს.

1.6 საჩივრის ავტორისთვის გაუგებარია, რა კავშირი აქვს სამართლებრივ მსჯელობასთან ფილოსოფოსთა ნააზრევის მითითებას, მათ შორის „სიბრიყვის ხუთი კანონის“ აღნიშვნას. საჩივრის ავტორ ს. კ.-ს განცხადებით, ადვოკატ მ. ს.-ს მიერ შედგენილი ტექსტი გაეგზავნა და წაიკითხა მომჩივანის კლიენტმა, რასაც შესაძლოა ემოქმედა მის შინაგან რწმენაზე.

1.7 2018 წლის 13 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენლის - გ. ლ.-ს განცხადებით, საჩივრის კომისიაში წარდგენა ადვოკატ მ. ს.-ს წინააღმდეგ არ წარმოადგენდა ს. კ.-ს თვითმიზანს და შესაბამისად, თუ მ. ს. მოიხდიდა ბოდიშს ადვოკატ ს. კ.-ს მიმართ წარდგენილი შეურაცხმყოფელი ფრაზებისთვის, მის მიმართ პრეტენზია აღარ ექნებოდა.

1.8 საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ სასამართლოსადმი მიმართვის გარდა, მის მიმართ მობოდიშების წერილი უნდა გაგზავნოდა მის კლიენტს - ლ. ლ.-ს, თუმცა ის კოლეგიალობის პრინციპიდან გამომდინარე, თანახმა იყო მ. ს.-ს მობოდიშების წერილი წარედგინა ეთიკის კომისიაში და ამავე დროს, გაეგზავნა სასამართლოში.

1.9 ადვოკატ ს. კ.-ს განმარტებით, მ. ს.-ს მიერ ეთიკის კომისიისათვის 2018 წლის 20 დეკემბერს წარდგენილი წერილობითი პოზიცია არ შეიცავს გულწრფელ მობოდიშებას, რადგან ის უთითებს, რომ მას ადვოკატ ს. კ.-სთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ მ. ს.-ს მიერ ეთიკის კომისიაში წერილობითი ფორმით წარმოდგენილი ბოდიშის ფორმა არ არის მისი, როგორც ადვოკატ ს. კ.-ს მიმართ მიყენებული შეურაცხყოფის საპირწონე და იგივე ფორმით აგრძელებს ის შეურაცხყოფის მიყენებას.

2. ადვოკატ მ. ს.-ს პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ს.-მ 2018 წლის 17 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, ხოლო 2018 წლის 17 მაისს ზეპირი ახსნა-განმარტება. 2018 წლის 13 დეკემბერს ადვოკატმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, არის თუ არა არგუმენტირებულად დასაბუთებული ადვოკატ ს. კ.-ს მიმართ სასამართლოში წარდგენილი შესაგებელი, ამის თაობაზე უნდა იმსჯელოს სასამართლომ და არა შესაგებლის ავტორმა, რომელიც „რა თქმა უნდა მიკერძოებული იქნება თავისივე ნაშრომის შეფასებაში“.

2.2 ადვოკატ ს. კ.-ს მიერ სასამართლოში წარდგენილი შესაგებელი ეწინააღმდეგება „საღ იურიდიულ ლოგიკას“ და სწორედ ამის თაობაზე მიწერა მან თავისი მოსაზრებები და დასკვნები მოსამართლეს სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად და „თუ ამას ვერ გებულობს ადვოკატი ს. კ., ეს მისი პირადი პრობლემაა“.

2.3 ადვოკატ მ. ს.-ს განცხადებით, მის მიერ სსსკ-ის 83-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი პროცესუალური დოკუმენტი გადაეგზვნა მოსამართლეს და პროცესში მონაწილე მხარეებს, მაგრამ „ამას ადვოკატი ს. კ. ვერ გებულობს“ და ფიქრობს, რომ ეს ადვოკატმა მისი პატივისა და ღირსების დასაკნინებლად გააკეთა. ადვოკატის განცხადებით, „ფაქტის სუბიექტური აღქმა, ეს არის ამ სუბიექტის უფლებაც და პრობლემაც“.

2.4 საჩივრის ავტორის სუბიექტური მოსაზრებაა ის, რომ ადვოკატ მ. ს.-ს მიერ შედგენილი დოკუმენტი „მოსარჩელის მოსაზრებები მოპასუხის შესაგებელზე“ შეიცავს ადვოკატ ს. კ.-ს შეურაცხმყოფელ სიტყვებს, რადგან მას არ წარმოუდგენია აღნიშნულის რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება, სპეციალისტის ან ექსპერტიზის დასკვნა.

2.5 ადვოკატ მ. ს.-ს მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც რამდენიმე გვერდისგან შედგება აგებულია შესაგებელში მოყვანილი ფაქტების და იმ ახალი გარემოებების შეფასებაზე, რომლებზეც ადვოკატი ს. კ. საუბრობს. ადვოკატის განმარტებით, ის იქნება სუბიექტური თუ იტყვის, რომ მის მიერ წარდგენილი მოსაზრებები სიმართლეს შეესაბამება და უფრო დასაბუთებულია, ვიდრე მოწინააღდეგე მხარის, რადგან ეს თავად სასამართლოს შეფასების საგანია.

2.6 ადვოკატ მ. ს.-ს განცხადებით, სიტყვა “არაპროფესიონალი“ მის მიერ შედგენილ ტექსტში არ არის გამოყენებული. საჩივრის ავტორის განმარტებით, ლ. ლ. წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს და „ამ დროს რას იზამდა კვალიფიცირებული იურისტი? აუცილებლად დააყენებდა შუამდგომლობას სასამართლოს წინაშე ლ. ლ.-ს არასათანადო მოპასუხედ ცნობაზე. რა გააკეთა ადვოკატმა ს. კ.-მ? - არაფერი.“

2.7 ადვოკატ მ. ს.-ს განცხადებით, ს. კ. არ ეთანხმება სარჩელში წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, თუმცა მას სასამართლოში არ წარუდგენია წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, „რა უნდა მოყოლოდა კვალიფიცირებული იურისტის ამ სიტყვებს? ალბათ, „ა ბატონო, ამის დამადასტურებელი საბუთები“, თუმცა ადვოკატს ეს საბუთები არ წარუდგენია.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ს. კ.-ს მიერ შესაგებელში მითითებული ფაქტები აჩენს კითხვებს, რის გამოც უნდა გარკვეულიყო ს. კ. იტყუებოდა თუ შეცდომაში შეიყვანა მისმა კლიენტმა ან სხვა პირმა. ადვოკატ მ. ს.-ს განმარტებით, მას ადვოკატ ს. კ.-სთვის „ცრუპენტელა“ არ უწოდებია, არამედ შეკითხვა დაუსვა: „თქვენ ბრძანდებით უბრალოდ ცრუპენტელა, თუ შეგიყვანეს შეცდომაში?“.

2.9 ადვოკატის განცხადებით, მას არსად არ დაუწერია, რომ ადვოკატი ს. კ. არის სულელი, არამედ გაახსენდა ფრანგი ფილოსოფოსის სიტყვები. ადვოკატ მ. ს.-ს განცხადებით, ის მოუწოდებდა ადვოკატ ს. კ.-ს გაცნობოდა კარლო ჩიპოლას „სიბრიყვის ხუთ კანონს“, დარწმუნებული რომ არ იყოს, რომ ის ცილს დასწამებს და იტყვის „მ. ს.-მ ბრიყვი მიწოდაო“.

2.10 ადვოკატ მ. ს.-ს განცხადებით, ს. კ. საჩივარში არ უთითებს რომელი უწესო ფორმა ან სალანძღავი სიტყვა გამოიყენა მის მიმართ. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორს სჭირს ნარცისიზმი, „ნარცისი იყო პათოლოგიურად ეგოცენტრული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც აუზში თავისი ანარეკლი შეუყვარდა. ბევრი ექსპერტის აზრით, ნარცისიზმის პათოლოგიის სიმპტომია ობიექტურობისა და გონიერი განსჯის უკმარობა“.

2.11 ადვოკატ მ. ს.-ს განცხადებით, საჩივრის ავტორი ს. კ. ვარაუდობს, რომ ყველა უნდა ამაყობდეს, რომ ისინი მასთან ერთად ცხოვრობენ ერთ ეპოქაში „ამ უდიდეს და უძლიერეს იურისტთან ერთად, ვსუნთქავთ მასთან ერთად ჰაერს და დავდივართ ერთ მიწაზე. დაე, ვიამაყოთ. მაგრამ მე რატომღაც მრცხვენია, რომ ჩვენ ორივე ვართ ადვოკატები“.

2.12 ადვოკატ მ. ს.-ს არ აინტერესებს ადვოკატ ს. კ.-ს შეფასებები, არამედ მისთვის მნიშვნელოვანია მოცემული სიტუაციის შესახებ ეთიკის კომისიის შეფასება. ადვოკატის განცხადებით, „სოკრატეს ნათქვამისა არ იყოს ჩვენ არ უნდა ვზრუნავდეთ იმისათვის, თუ რას იტყვის ჩვენზედ უმრავლესობა, არამედ რას იტყვის ის ვისაც შეგნებული აქვს სამართლიანობა და თვითჭეშმარიტება“.

2.13 ადვოკატ მ. ს.-ს განცხადებით, ს. კ. თავად აყენებს მას შეურაცხყოფას, რადგან ის სოციალურ ქსელში წერს, რომ მ. ს. არის სისხლის სამართლის და არა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის და ამით თითქოს ის ატყუებს ხალხს. ადვოკატ მ. ს.-ს განცხადებით, მას საკუთარ პროფესიონალიზმში ეჭვი არ ეპარება და მხოლოდ ადვოკატ ს. კ.-ს პირადი აზრია, რომ ის მატყუარაა.

2.14 ადვოკატ მ. ს.-ს მიერ წერილობით დოკუმენტში დასმული შეკითხვების მიზანი იყო მისი მოსაზრებების გადმოცემა, რაც შეეხება „სიბრიყვის ხუთ კანონს“ - ეს უბრალოდ გაახსენდა და სურდა რომ ადვოკატ ს. კ.-სთვის მიემართა - წაეკითხა ეს კანონი. ადვოკატ მ. ს.-ს განცხადებით, მის მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტის შინაარსი შეთანხმებულია თავის კლიენტთან და ეხება იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც წარმოადგინა ს. კ.-მ, რომლის პოზიციის საწინააღმდეგოა მის მიერ დოკუმენტში აღნიშნული შეფასებები. ადვოკატ მ. ს.-ს განცხადებით, ის მოცემულ შემთხვევაში, კლიენტის ინტერესებს წარმოადგენს სამოქალაქო საქმეზე, როგორც უბრალოდ წარმომადგენელი და არა როგორც ადვოკატი, რადგან ის არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი.

2.15 2018 წლის 13 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე მ. ს.-ს მიერ წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტების მიხედვით, მის მიზანსა და სურვილს არ წარმოადგენდა ადვოკატ ს. კ.-ს შეურაცხყოფა და მის მიერ წარმოდგენილი წერილობითი პოზიციები შეიცავს ზოგად შეფასებებს. ადვოკატის განმარტებით, თუ ადვოკატმა შეურაცხმყოფილად აღიქვა მისი გამონათქვამები, მას შეუძლია ჩამოაყალიბოს ბოდიშის ფორმა და წარმოადგინოს ის ეთიკის კომისიაში და გაუგზავნოს სასამართლოს, თუმცა ის მობოდიშების წერილს ვერ გაუგზავნის ადვოკატ ს. კ.-ს კლიენტს - ლ. ლ.-ს.

2.16 2018 წლის 20 დეკემბერს ადვოკატ მ. ს.-ს მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი წერილობითი პოზიციით, მის მიერ შედგენილ არცერთ დოკუმენტში პირადად ს. კ.-ს არ აყენებს შეურაცხყოფას. მათ შორის დოკუმენტი „მოსარჩელის მოსაზრებები მოპასუხის შესაგებელზე“ აგებულია საქმეში წარმოდგენილი შესაგებლის შეფასებაზე. ადვოკატი მ. ს. უთითებს: „შესაგებელი თავისით არ დაიწერებოდა, იგი შეადგინა ადვოკატმა ს. კ.-მ და ჩემი აზრით, ამიტომ ღებულობს შეურაცხმყოფელად ზოგიერთ წინადადებას.“

2.17 ადვოკატის განცხადებით, ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატ ს. კ.-სთან გასაუბრების შედეგად, მისთვის ცნობილი გახდა, რომ მის მიერ შედგენილი დოკუმენტის კონკრეტული ფრაზები ს. კ.-სთვის იყო დამამცირებელი და შეიცავდა შეურაცხმყოფელ სიტყვებს. ადვოკატი განმარტავს: „გამომდინარე აქედან, რომ ჩემი თვითმიზანი არ არის კოლეგასთან უთანხმოება და მსურს ჩვენი ურთიერთობა უფრო მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებდეს, ვიდრე აქამდე, თანახმა ვარ ბატონ ს.-ს მოვუბოდიშო. თანახმა ვარ აღნიშნული დოკუმენტი კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად გადაეგზავნოს მოსამართლეს და ს. კ.-ს.“

2.18 მიუხედავად ადვოკატ მ. ს.-ს მზაობისა, მომხდარიყო შერიგება მასსა და ადვოკატ ს. კ.-ს შორის, აღნიშნული შეუძლებელი გახდა, რადგან საჩივრის ავტორმა ვერ მიიღო მ. ს.-ს ბოდიში. ადვოკატი მ. ს. განმარტავს: „არ ვიცი რაც ითხოვს, მუხლის მოდრეკას და ღაწვების ჩამოფხეკას? ან იქნებ ისეთ რამეს, რაც მის კლიენტთან - ლ. ლ.-სთან - დაამდაბლებს ჩემს პიროვნებას“. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორმა ვერ გააცნობიერა, რომ მისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია და მისი პიროვნებისთვის ცუდი არ უკადრებია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. საქმის ფაქტები:

განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

3.1 2018 წელს ადვოკატი მ. ს. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაზე წარმოადგენდა მოსარჩელის ინტერესებს, მოპასუხის ინტერესებს იცავდა - ადვოკატი ს. კ..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები;
2. მოსარჩელის წარმომადგენლის - ადვოკატ მ. ს.-ს 2018 წლის 09 მარტის წერილობითი დოკუმენტი - „მოსარჩელის მოსაზრებები მოპასუხის შესაგებელზე“ (ს.ფ.38).

3.2 ადვოკატ მ. ს.-ს, როგორც მოსარჩელის წარმომადგენელს თავის შედგენილ სამართლებრივ დოკუმენტში - „მოსარჩელის მოსაზრებები მოპასუხის შესაგებელზე“ მითითებული აქვს შემდეგი გამონათქვამები:

„...ბატონო ს., ბალზაკმა თქვა სულელის გვერდით, ყოველთვის მოიძებნება თაღლითიო“; „ალბათ დამეთანხმებით, ხომ უნდა გავარკვიოთ, თქვენ ბრძანდებით უბრალოდ ცრუპენტელა, თუ შეგიყვანეს შეცდომაში, თუ პირველია მომილოცავს, ღმერთმა მოგახმაროთ“;

„ვერ ვხვდებოდი და სულ მაინტერესებდა, რატომ დაწერა ეს შესაგებელი იურისტმა - ადვოკატმა და გაუგზავნა მეორე კვალიფიცირებულ იურისტს - მოსამართლეს? მაგრამ შემდეგ გამახსენდა მარკიზ დე ვოვენარგის სიტყვები „სულელი ყოველთვის დარწმუნებულია, რომ მასზე უკეთესად ვერავინ გააცრუებს ჭკვიან ადამიანს“;

“...ვერ ვგებულობთ, რატომ ხართ ასეთი უღმერთოები...”;

„რა გითხრათ ამაზე ბატონო ადვოკატო, წავიკითხე თქვენი პასაჟი და გამახსენდა ფრანგი მწერლის პიერ დანინოსის სიტყვები: ის არც ისე სულელია, როგორც გამოიყურება, ის უფრო დიდი სულელიაო“

„...თუ ლ. ლ.-ს ღმერთმა ასეთი ადვოკატი გამოუგზავნა, როგორც თქვენ ბრძანდებით, აუხსენით მას... ასეთ სპეციალისტთან როგორც თქვენ ბრძანდებით ეს არ გაუჭირდება“;

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები;
2. მოსარჩელის წარმომადგენლის - ადვოკატ მ. ს.-ს 2018 წლის 09 მარტის წერილობითი დოკუმენტი - „მოსარჩელის მოსაზრებები მოპასუხის შესაგებელზე“ (ს.ფ.38).

3.3 ადვოკატ მ. ს.-ს მიერ 2018 წლის 17 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით განმარტებაში მითითებული აქვს შემდეგი გამონათქვამები:

„...გამახსენდა კარლო ჩიპოლას „სიბრიყვის ხუთი კანონი“, მოვუწოდებდი ადვოკატ ს. კ.-ს გაცნობოდა ამ „კანონებს“;

„ჩემი აზრით, რაც ადვოკატ ს. კ.-ს სჭირს არის ნარცისიზმი, ნარცისიზმი ეგოიზმის, მედიდურობისა და პატივმოყვარეობის პიროვნული თვისებაა... ნარცისი იყო პათოლოგიურად ეგოცენტრული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც აუზში თავისი ანარეკლი შეუყვარდა. ბევრი ექსპერტის აზრით, ნარცისიზმის პათოლოგიის სიმპტომია ობიექტურობისა და გონიერი განსჯის უკმარობა“, ს. კ.-ს აზრით, ჩვენ ყველა უნდა ვამაყობდეთ, რომ ვცხოვრობთ ერთ ეპოქაში ამ უდიდეს და უძლიერეს იურისტთან ერთად, ვსუნთქავთ მასთან ერთად ერთ ჰაერს და დავდივართ ერთ მიწაზე. დაე, ვიამაყოთ. მაგრამ მე რატომღაც მრცხვენია, რომ ჩვენ ორივე ვართ ადვოკატები“

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები;
2. ადვოკატ მ. ს.-ს 2018 წლის 17 აპრილს ეთიკის კომისიაში წარდგენილი წერილობითი პასუხი (ს.ფ.34).

4. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ შეისწავლა დისციპლინური საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და თვლის, რომ სადისციპლინო კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა, რომ ადვოკატ მ. ს.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. ს.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი მუხლები:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.

5.2 ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, მოეთხოვება ქცევის მაღალი სტანდარტი. მისი ყველა მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის მოთხოვნებს. შესაბამისად, ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს პირის მიერ ამ უფლებით სარგებლობის ფარგლებს.

5.3 ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი და კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას არ გასცდეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, მათ შორის არ დაუშვას კოლეგისადმი უხეში და შეურაცხმყოფელი მოქცევა, მათ შორის წერილობითი მოსაზრებების შედგენისას გამოიჩინოს პატივისცემა და იმოქმედოს ღირსეულად მოწინააღმდეგე მხარისა და მისი წარმომადგენლის მიმართ. კოლეგიალობის პრინციპის დაცვა წარმოადგენს პროფესიული საქმიანობისადმი პატივისცემას, რისი დაცვის ვალდებულება ადვოკატს თავისი ყოველდღიური საქმიანობის დროს აკისრია.

5.4 „ადვოკატები უნდა ზრუნავდნენ კონფლიქტური მდგომარეობის განმუხტვისაკენ და აუცილებლად უნდა სცენ პატივი ურთიერთპროფესიულ ღირსებას“ (ეთიკის კომისიის 25/05/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე #094/14).

5.5 „კოლეგიალობის პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად

საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

5.6 „ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლის პროფესიული ვალდებულებები სასამართლოს მიმართ უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების ინტერესს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და ღირსებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე ეთიკის წესების დაცვას. დაცვის უფლების განხორციელებისას ადვოკატი შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით არის განსაზღვრული“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 ოქტომბრის #158/13 გადაწყვეტილება).

5.7 „ეთიკის კომისია წარმოადგენს კვაზი სასამართლოს, ახორციელებს სასამართლოს მსგავს ფუნქციას და ადვოკატს, როგორც სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა ევალება, იგივე ვალდებულება აქვს ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოებისას. ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეთა უფლებები. ეთიკის კომისიას შესაძლებლად მიაჩნია, ადვოკატს მოეთხოვოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეებთან ურთიერთობის მაღალი და დახვეწილი სტანდარტი...” (ეთიკის კომისიის 03/03/2012 წლის გადაწყვეტილება, საქმე #025/12).

5.8 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა მ. ს.-მ, რომელიც ახორციელებდა საპროცესო წარმომადგენლობას, სასამართლოსა და პროცესის მონაწილე მხარეს წარუდგინა სამართლებრივი დოკუმენტი - „მოსარჩელის მოსაზრებები“. საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატ მ. ს.-ს მიერ შედგენილი წერილობითი დოკუმენტი შეიცავს მის მიმართ შეურაცხმყოფელ მოსაზრებებს. ადვოკატი მ. ს. არ იზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას და უთითებს, რომ მის მიერ შედგენილი დოკუმენტი არ შეიცავს შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს და ის მხოლოდ წარმოადგენს შესაგებელში მოყვანილი ფაქტებისა და იმ ახალი გარემოებების შეფასებაზე, რომლებზეც ადვოკატი ს. კ. საუბრობს. ადვოკატმა მ. ს.-მ ეთიკის კომისიაში მის მიმართ ადვოკატ ს. კ.-ს მიერ წარდგენილ საჩივარზე წარმოადგინა წერილობითი პასუხი, რომელიც ასევე შეიცავს ისეთი სახის გამონათვქამებს, რაც საჩივრის ავტორის პოზიციით, მისთვის შეურაცხმყოფელია.

5.9 მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგიამ უნდა შეაფასოს, მ. ს.-ს მიერ რამდენადაა დაცული გამოხატვის თავისუფლების ფარგლები სასამართლოსა და ეთიკის კომისიაში წარდგენილი შემდეგი გამონათქვამებით: *„...ბატონო ს., ბალზაკმა თქვა სულელის გვერდით, ყოველთვის მოიძებნება თაღლითიო“; „ალბათ დამეთანხმებით, ხომ უნდა გავარკვიოთ, თქვენ ბრძანდებით უბრალოდ ცრუპენტელა, თუ შეგიყვანეს შეცდომაში, თუ პირველია მომილოცავს, ღმერთმა მოგახმაროთ“; „ვერ ვხვდებოდი და სულ მაინტერესებდა, რატომ დაწერა ეს შესაგებელი იურისტმა - ადვოკატმა და გაუგზავნა მეორე კვალიფიცირებულ იურისტს - მოსამართლეს? მაგრამ შემდეგ გამახსენდა მარკიზ დე ვოვენარგის სიტყვები „სულელი ყოველთვის დარწმუნებულია, რომ მასზე უკეთესად ვერავინ გააცრუებს ჭკვიან ადამიანს“; „...თუ ლ. ლ.-ს ღმერთმა ასეთი ადვოკატი გამოუგზავნა, როგორც თქვენ ბრძანდებით, აუხსენით მას... ასეთ სპეციალისტთან როგორც თქვენ ბრძანდებით ეს არ გაუჭირდება“;*

"...ვერ ვგებულობთ, რატომ ხართ ასეთი უღმერთოები..."; „რა გითხრათ ამაზე ბატონო ადვოკატო, წავიკითხე თქვენი პასაჟი და გამახსენდა ფრანგი მწერლის პიერ დანინოსის სიტყვები: ის არც ისე სულელია, როგორც გამოიყურება, ის უფრო დიდი სულელიაო"; „...გამახსენდა კარლო ჩიპოლას „სიბრიყვის ხუთი კანონი", მოვუწოდებდი ადვოკატ ს. კ.-ს გაცნობოდა ამ „კანონებს"; „ჩემი აზრით, რაც ადვოკატ ს. კ.-ს სჭირს არის ნარცისიზმი, ნარცისიზმი ეგოიზმის, მედიდურობისა და პატივმოყვარეობის პიროვნული თვისებაა... ნარცისი იყო პათოლოგიურად ეგოცენტრული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც აუზში თავისი ანარეკლი შეუყვარდა. ბევრი ექსპერტის აზრით, ნარცისიზმის პათოლოგიის სიმპტომია ობიექტურობისა და გონიერი განსჯის უკმარობა", ს. კ.-ს აზრით, ჩვენ ყველა უნდა ვამაყობდეთ, რომ ვცხოვრობთ ერთ ეპოქაში ამ უდიდეს და უძლიერეს იურისტთან ერთად, ვსუნთქავთ მასთან ერთად ერთ ჰაერს და დავდივართ ერთ მიწაზე. დაე, ვიამაყოთ. მაგრამ მე რატომღაც მრცხვენია, რომ ჩვენ ორივე ვართ ადვოკატები".

5.10 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ადვოკატ მ. ს.-ს მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები შინაარსობრივად რიტორიკული ხასიათისაა და მიმართულია ადვოკატ ს. კ.-ს მისამართით. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ მ. ს.-ს მიერ მითითებული გამონათქვამების გამოყენება არ გამომდინარეობს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან და ობიექტური აღქმის საფუძველზე სცდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. ადვოკატ მ. ს.-ს მიერ როგორც სასამართლოში, აგრეთვე, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ფრაზები არ ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ მ. ს.-ს შეეძლო სხვაგვარად ჩამოეყალიბებინა თავისი პოზიცია კოლეგისადმი პატივისცემის გათვალისწინებით. განიხლვის კოლეგია ვერ გაიზიარებს ადვოკატ მ. ს.-ს პოზიციას იმის თაობაზე, რომ მას საჩივრის ავტორისათვის არ უწოდებია „სულელი" და „არაკვალიფიციური", არამედ, შეკითხვის ფორმით ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია. კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, რიტორიკული ფორმით ადვოკატის მიერ კოლეგისადმი სამართლებრივ დოკუმენტში გამოყენებული ფრაზები: "*...სულელის გვერდით, ყოველთვის მოიძებნება თაღლითიო"; „ბრძანდებით უბრალოდ ცრუპენტელა, თუ შეგიყვანეს შეცდომაში..."* სცდება დასაშვები კრიტიკის ფარგლებს და არ ეხება მხარეებს შორის სადავო საქმის თაობაზე ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას. ადვოკატ მ. ს.-ს მიერ ფილოსოფოსთა ნააზრევიდან შემდეგი ამონარიდები მითითება, როგორიცაა: *„ბალზაკმა თქვა სულელის გვერდით, ყოველთვის მოიძებნება თაღლითიო"; „სულელი ყოველთვის დარწმუნებულია, რომ მასზე უკეთესად ვერავინ გააცრუებს ჭკვიან ადამიანს";* ირიბად ეხება კოლეგის პიროვნებას, რაც არღვევს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

5.11 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ეთიკური ვალდებულებათა დაცვის ფარგლებში კლიენტის ინტერესების საუკეთესოდ წარმოჩენა. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ მ. ს.-ს მიერ ზემოაღნიშნული ფრაზების მითითება, არ გამომდინარეობს პროფესიული ვალდებულების შესრულებიდან და ამგვარი გამონათქვამები არ არის იმ მიზნის პროპორციული, რასაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედება ჰქვია.

5.12 მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია სახდელის ფორმის განსაზღვრისას, ითვალისწინებს ადვოკატ მ. ს.-ს შეფასებას მის მიერ განხორციელებული ქმედების თაობაზე. კერძოდ, ადვოკატ მ. ს.-ს მიერ 2018 წლის 20 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილი მიხედვით, ის არ

მიიჩნევს, რომ მის მიერ გამოთქმული რომელიმე მოსაზრება არღვევს კოლეგიალობის პრინციპსა და სასამართლო პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულებას, არამედ უთითებს, რომ ვინაიდან, მის კოლეგას - ადვოკატ ს. კ.-ს მიაჩნია, რომ მისი მოსაზრებები დამამცირებელია, ის მზად არის მოუხადოს მას ბოდიში. ადვოკატი მ. ს. უთითებს: „არ ვიცი რას ითხოვს, მუხლის მოდრეკას და ღაწვების ჩამოფხეკავს? ან იქნებ ისეთ რამეს რაც მის კლიენტთან - ლ. ლ.-სთან - დაამდაბლებს ჩემს პიროვნებას“ (იხ. პუნქტი 2.17).

5.13 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ის გარემოება, რომ ადვოკატმა გააცნობიეროს, რატომ შეფასდა მის მიერ განხორციელებული ქმედებები, კერძოდ, კოლეგისადმი გამოთქმული მოსაზრებები პროფესიული ნორმების დარღვევად, რისი გათვალისწინებაც შემდგომში დისციპლინური გადაცდომის პრევენციას უზრუნველყოფს. დისციპლინური სახდელის ზომის გამოყენება ემსახურება საზოგადოების დაცვას ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას.

5.14 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემული საქმის გარემოებებიდან და არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ადვოკატ მ. ს.-ს მიმართ უნდა იქნას გამოყენებული დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტით, 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით, 35-ე, 36-ე მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლით, მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილით, ასევე, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 ნაწილებით, მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, 33-ე მუხლით, 35-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე ნაწილით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე 033/18 ადვოკატ მ. ს.-ს მიმართ /სიითი #/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ მ. ს.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თირნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/